

EUMM–ის მონიტორები მედლებით დაჯილდოვდნენ

18 მაისი 2018

გორში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის 2018 წლის რიგით პირველი მედლებით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებას შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ნათია ანთელვა ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მონიტორებს განეული სამსახურისთვის მედლები და დიპლომები გადასცეს. ღონისძიებას ევროკავშირის ქვეყნების ელჩები და მისიის ხელმძღვანელები დაესწრნენ. ასევე, მონვეული იყვნენ სტუმრები ადგილობრივი ხელისუფლებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მედლების გადაცემის დასასრულს გაჟღერდა ევროკავშირის ჰიმნი. ელჩებისა და მისიის ხელმძღვანელის თქმით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს მშვიდობის უზრუნველყოფას, ამ მიმართულებით კი ისინი მუშაობას სამომავლოდაც გააგრძელებენ.